



საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მესამე თავის, 49-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ანგარიში წარადგინა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი:

- საანგარიშო პერიოდში შემოსულია 143 წერილობითი მოთხოვნა. ამომწურავი პასუხი გაეცა 130 განმცხადებელს. მიმდინარე შესრულების პროცესშია 13 განცხადება.
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატში საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე შემოსულია 2 საჩივარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური:

- საგამოძიებო სამსახურში შემოსულია 12 წერილობითი მოთხოვნა. მოთხოვნილ ინფორმაციაზე უარი ეთქვა 4 განმცხადებელს.
- საგამოძიებო სამსახურში, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველით შემოვიდა ერთი საჩივარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური:

- სახაზინო სამსახურში შემოსულია 23 წერილობითი განცხადება. მოთხოვნილ ინფორმაციაზე უარი ეთქვა 6 განმცხადებელს. საანგარიშო პერიოდში სახაზინო სამსახურში საჩივარი არ შემოსულა.

სსიპ შემოსავლების სამსახური:

- შემოსავლების სამსახურში შემოსულია 144 წერილობითი მოთხოვნა. მოთხოვნილ ინფორმაციაზე უარი ეთქვა 45 განმცხადებელს. დაკმაყოფილდა 78 განცხადება. ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 21 განცხადება.





- საანგარიშო პერიოდში შემოსავლების სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, შემოსულია 3 საჩივარი.

სსიპ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო:

- სსიპ - მომსახურების სააგენტოში შემოსულია 49 განცხადება. საჯარო ინფორმაცია, განმცხადებლის მოთხოვნის შესაბამისად გაიცა 49 შემთხვევაში.
- სააგენტოს თანამშრომელთა მიერ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევის და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინარული სახდელის დადების შემთხვევა, სსიპ - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში 2013 წლის განმავლობაში არ გამოვლენილა.

სსიპ - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

- 2013 წლის 1 იანვრიდან - 2013 წლის 10 დეკემბრამდე სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სულ შემოვიდა 3 (სამი) განცხადება. სამივე შემთხვევაში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. სამსახურის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით, 3 (სამივე) მოთხოვნაზე სრულად იქნა გაცემული პასუხები და წარდგენილ იქნა მოთხოვნილი ინფორმაციები. 2013 წლის განმავლობაში საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა შემოსული არ ყოფილა.
- სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა ავტომატურ რეჟიმში ხორციელდება აღნიშნულ პროგრამაში.
- სამსახურის მოსამსახურეების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.
- სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია.



